

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1 8 2 7

ქ. ბათუმი, 07 მაისი 2018 წ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209³ მუხლისა და 239-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე.უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. თვითმმართველი ერთეულისათვის (მუნიციპალიტეტისათვის) მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ შემდეგი თანამდებობის პირები:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51³, 53³, 55-ე, 55², 125³ მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით, 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 150-ე, 150¹, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 152-ე, 152², 153⁴, 159-ე, 159¹ და 179² მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 127¹ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43-ე, 43¹, 43² მუხლებით, 148 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით და 173⁵ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

დ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172⁶ მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ე) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მობილიზაციის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 196¹, 196³, 196⁶, 197-ე, 197¹ და 198-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ვ) შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125³ მუხლის პირველი-მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ზ) შპს „სანდასუფთავება“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

თ) ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს, ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს, სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სა და შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს თანამშრომლები, მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 148-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 150, 150¹, 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 152-ე, 152², 153⁴, 159-ე და 159¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ი) ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

2. თუ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით თვითმმართველი ერთეულისათვის (მუნიციპალიტეტისათვის) მიკუთვნებული კომპეტენციის ფარგლებში წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ შედგენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის საფუძველზე წარმოებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის განხილვას არ მიაკუთვნებს საერთო სასამართლოების განსჯადობას, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი) ან/და იმ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (დირექტორი, გენერალური დირექტორი), სადაც მუშაობს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, რომლებ-

ზეც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209³ მუხლის შესაბამისად სამართალდარღვევის ადგილზევე ხდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა და სამართალდამრღვევზე ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ შემდეგი თანამდებობის პირები:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე, 107⁴ მუხლებით, 114² მუხლის მე-6 ნაწილით, 119¹, 135-ე, 135¹, 146¹ მუხლებით, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 151² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე და 135¹ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საჯარო მოსამსახურეები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

დ) შპს „სანდასუფთავება“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 146¹, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით და 151 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ე) შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 125³ მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით და 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ვ) ა(ა)იპ „ბათუმის ბოტანიკური ბაღი“-ს, ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს, სსიპ „ბათუმის ბულვარი“-სა და შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“-ს თანამშრომლები მხოლოდ მათ საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ან/და მოვლა-პატრონობისათვის განსაზღვრულ ტერიტორიებზე - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე, 107⁴, 146¹, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 151² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე;

ზ) ა(ა)იპ „ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური“-ს თანამშრომლები - საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 151² მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე.

4. დაევალოს ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“-ს ამ ბრძანებით განსაზღვრული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენა, სამართალდარღვევის დადასტურების მტკიცებულებათა შეკრება და შესაბამისი ინფორმაციის, მტკიცებულებების ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურის საქალაქო მუნიციპალური სერვისების და ორგანიზაციების კოორდინაციის განყოფილების მეშვეობით რეაგირებაზე (სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვასა და ადმინისტრაციული სახდელის დადებაზე) უფლებამოსილი პირისათვის მიწოდება.

5. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას, საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

6. წინამდებარე ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად სამართალდარღვევის საქმის ადგილზევე განხილვისას და სამართალდამრღვევზე ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის ადგილზევე შეფარდებისას, სამართალდამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი.

7. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის შემდეგ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირის მიერ დაუყოვნებლივ მოხდეს ოქმის განსახილველად გადაგზავნა საამისოდ უფლებამოსილი ორგანოსადმი (სასამართლოსადმი, თანამდებობის პირისადმი).

8. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეების მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების სასამართლოში განხილვისას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება უზრუნველყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილებამ. დაევალოს მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს (სამსახურის უფროსებს) საქმის სასამართლოში განხილვის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობონ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილებას, მიაწოდონ შესაბამისი მასალები და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სასამართლოსთან ურთიერთობის და ადმინისტრაციული დავების განყოფილების მოთხოვნისას უზრუნველყონ სამართალდარღვევათა ოქმის შემდგენი პირის სასამართლო სხდომაზე გამოცხადება.

9. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეების გარდა, წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების სასამართლოში განხილვისას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება უზრუნველყოს იმ იურიდიული პირის შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა, სადაც

მუშაობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

10. წინამდებარე ბრძანების საფუძველზე გამოსაყენებელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის (მათ შორის საჯარიმო ქვითრის) წარმოებაზე და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე უფლებამოსილ პირებად განისაზღვრონ იმ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამსახურის უფროსი) ან/და იმ იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (დირექტორი, გენერალური დირექტორი), სადაც მუშაობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევებზე სამართალდარღვევათა ოქმის შედგენაზე და სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილ პირთა წრის განსაზღვრის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 14 დეკემბრის №2414 ბრძანება.

12. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლაშა კომახიძე

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი